

ნარკოტრანზიტის პრობლემა საქართველოში

თამარ ცერცვაძე, ნინო ფარულავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ტანგიაშვილი
მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”

თამარ ცერცვაძე, ნინო ფარულავა

თბილისი, 22 ივნისი, 2018

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება საქართველოს გავლით ავღანური წარმოშობის ნარკოტიკების ტრანზიტს, მისი გამომწვევი მიზეზების და ხელშემწყობი ფაქტორების შესწავლას. წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში გაეცნობით ზოგადად ნარკოტრანზიტის ისტორიულ კონტექსტს, გამომწვევ მიზეზებს, არსებულ ვითარებას საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში. ნაშრომში მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა საქართველოში ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ განხორციელებულ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ცვლილებებს, რომლის საფუძველზეც გამოიკვეთა ქვეყნის წარმატების განმაპირობებელი მთავარი ფაქტორი ნარკოტიკების ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ნაშრომის **საკვლევ კითხვას** წარმოადგენს იმის განსაზღვრა თუ რა გახდა საქართველოს წარმატების მთავარი მიზეზი ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნაშრომის ფარგლებში მოხდა ნარკოტრანზიტის გამომწვევი მიზეზების კატეგორიზაცია **ინსტიტუციურ** და **არაინსტიტუციურ** ფაქტორებად. აღნიშნული ფაქტორების შესწავლისა და ანალიზისთვის კი გამოყენებულია საერთაშორისო ორგანიზაციების ყოველწლიური ანგარიშები, ანალიტიკური ნაშრომები, საკანონმდებლო ცვლილებები და ინტერვიუები დარგის სპეციალისტებთან.

მოპოვებული მასალის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა მთავარი მიზეზი, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოს წარმატებას ნარკოტრანზიტთან ბრძოლაში. სახელდობრ, ინსტიტუციონალიზმი ანუ ბოლო წლებში გატარებული რეფორმები სახელმწიფო ინსტიტუტების გასაძლიერებლად. წარმოდგენილი ნაშრომის საფუძველზე მკითხველს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს ინსტიტუციური განვითარების გადამჭრელ როლს ქვეყნის სატრანზიტო დერეფნად გამოყენების რისკების შემცირებაში.

Abstract

This master thesis is about the Afghan origin illegal drug trafficking through Georgia. The enquiry examines reasons and factors, which determine existing situation in Georgia, as well as briefly presents historical context and drug trafficking related reality in neighboring countries. Furthermore, the enquiry also focuses on the legislative and institutional changes, based on which the key factor causing success of Georgia in fighting against illicit drug trafficking has been underlined.

Based on the above mentioned, the **research question** of the master thesis is to determine the main reason of the success, that Georgia has achieved in fighting against drug trafficking. The causes of drug trafficking have been categorized into **Institutional** and **Non-institutional** factors. Annual reports of international organizations, analytical studies, legislative amendments and interviews with field experts have been used for in depth study and analysis of these factors.

After analyzing above mentioned documents, the main reason, that has contributed to Georgia's success in the fight against drug trafficking has been identified. The institutionalism or reforms which has been implemented in recent years to strengthen state's institutions is the key determinant of the country's success. The reader of this enquiry will have an opportunity to explore the role of institutional development in the reduction of the risk of using the country as an illicit drug transit corridor.